

პაატა სილაგაძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	10
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	11
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	12
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	13
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	21

1999-2004 წლებში პაატა სილაგაძე თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწედ მუშაობდა. 2004-2006 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის კონსულტანტი, შემდეგ – უფროსი კონსულტანტიც. 2006-2008 წლებში გახლდათ მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, 2008-2019 წლებში კი – უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მოსამართლე. 2019 წლის 3 ივნისს პაატა სილაგაძე უვადოდ დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლედ. 2013-2017 წლებში იგი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ფარგლები.[1]

ფაქტები: 2010 წლის განაჩენით, პირს მსჯავრი დაედო განსაკუთრებით მძიმე ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში[2] და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2012 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით[3], მის მიერ ჩადენილი ქმედება, ბრალად წარდგენილი ნორმის მეორე ნაწილის ნაცვლად, მოექცა პირველ ნაწილში. ამ გარემოების გათვალისწინებით, მსჯავრდებულმა მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და განაჩენის გადასინჯვა მოითხოვა. საჩივრის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მისი ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (იმ დროს მოქმედი რედაქცია) 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" პუნქტიდან ამავე მუხლის პირველ ნაწილზე უნდა გადაეკვალიფიცირებინა. სასჯელის დანიშვნისას მას ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმაზე, რომ თავდაპირველი განაჩენით, მსჯავრდებულს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა შეფარდებული, მაქსიმალურ სასჯელად კი ნორმა 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. ამიტომ, სასამართლოს, გადაკვალიფიცირების შემდგომ შეფარდებული მაქსიმალური 11-წლიანი თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, სასჯელი უნდა განესაზღვრა თავდაპირველ განაჩენში დაცული პროპორციით.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მსჯავრდებულის მოთხოვნა და მისი ქმედება შესაბამისად გადააკვალიფიცირა, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასჯელის სახედ და ზომად მსჯავრდებულს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულის სასჯელს მოაკლო მხოლოდ 1 წელი – სხვაობა თავდაპირველად დანიშნულ სასჯელსა და ახალი კვალიფიკაციით გათვალისწინებულ მაქსიმალურ სასჯელს შორის.

---

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 19 სექტემბრის განაჩენი/განჩინება საქმეზე N39აგ-12.

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე დოკუმენტი N2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 13/08/1999, 2010 წლის 28 სექტემბრისთვის (განაჩენის გამოტანის დროს) მოქმედი რედაქცია. ნორმა მაქსიმალური სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 7-დან 14 წლამდე.

[3] ცვლილებები შეეხო საქართველოს კანონს „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", სადაც გარკვეულ ნარკოტიკული საშუალებებისთვის განისაზღვრა მცირე ოდენობები. დოკუმენტის ავტორთა მიერ გაანალიზებული განაჩენიდან, პირდაპირ არ იკვეთება, თუმცა ადვილად სავარაუდოა, რომ მსჯავრდებულის ნარკოტიკული საშუალების ოდენობა, „დიდი ოდენობის" ნაცვლად, მოექცა, „მცირე ოდენობის" რანგში (აღნიშნული ნორმა კი სასჯელის მაქსიმალურ სახედ და ზომად 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა), რაც გახდა განაჩენის გადასინჯვის, ქმედების გადაკვალიფიცირების მოთხოვნის საფუძველი.

მსჯავრდებულმა სააპელაციო სასამართლოს ახალი განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა და მიუთითა, რომ სასჯელი უსამართლოდ განესაზღვრა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, სამი მოსამართლის, მათ შორის, პაატა სილაგაძის მონაწილეობით, საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან და პრეცედენტულ სამართლებრივ საკითხზე:

- „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, იმსჯელოს გადასასინჯი გადაწყვეტილების სამართლიანობაზე. [...] მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სასჯელი იმ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა აღემატება ახალი კანონით დადგენილი სასჯელის ზომის მაქსიმუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი დანიშნული სასჯელი ახალი კანონის სანქციის ფარგლებშია, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, გადაწყვეტილების გადასინჯვისას სასამართლო არ არის უფლებამოსილი, შეამციროს მისი ზომა და, შესაბამისად, იმსჯელოს დანიშნული სასჯელის მსჯავრდებულის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შესაბამისობაზე“.

შენიშვნა: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაძლებლად მიიჩნევს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვას ახლად გამოვლენილი გარემოებისას. ერთ-ერთი ასეთი საფუძველია შემთხვევა, როდესაც ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედების გამო, რომლისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო. სწორედ ასეთი გარემოება გვხვდება წინამდებარე საქმეში. კანდიდატის ეს მსჯელობა მნიშვნელოვანია ქვემოთ განხილული ე.წ. გვიჩიანის საქმეშიც, სადაც მან, სააპელაციო სასამართლოს მიერ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის კანონიერება შეამოწმა. ამ საქმის ფარგლებში, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, ლევან თევზაძემ, ისე, რომ მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედებისთვის სისხლის სამართლის კოდექსი კვლავ ითვალისწინებდა თავდაპირველად განსაზღვრულ სასჯელს (უვადო თავისუფლების აღკვეთა), მათ უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუმცირა და, საბოლოოდ, 15 წელი დაუნიშნა. თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, კანდიდატ პაატა სილაგაძის შემადგენლობით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი ძალაში დატოვა, ისე, რომ ყურადღება არ გაუმახვილებია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო სასჯელის გადასინჯვის სტანდარტზე, რომელიც ზემოთ განხილულ საქმეში დადგინდა.

სამართლებრივი საკითხი: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება).[4]

ფაქტები: სასამართლოს პირველი და მეორე ინსტანციების მიერ პირს მსჯავრი დაედო უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებული დავობდა, რომ სასამართლომ მის მიმართ უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი გამოიტანა. საკასაციო საჩივარში მსჯავრდებული უთითებდა, რომ თანხა, რომლის ლეგალიზაციასაც ბრალდების მხარე ედავებოდა, აიღო მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის ანგარიშიდან, რომლის 50%-იანი წილის მფლობელი და დირექტორი თვითონ იყო. მსჯავრდებულის საკასაციო საჩივარი ეყრდნობოდა შემდეგ ძირითად არგუმენტებს:

- არ დასტურდება, რომ მან შემოსავალი დანაშაულებრივი გზით მიიღო და შემდეგ მისცა კანონიერი სახე, რათა დაეფარა და შეენიღბა მისი უკანონო წარმოშობა;

---

4 **საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2012 წლის 26 დეკემბრის განაჩენი საქმეზე N370აპ-12.**

რადგან:

- მის სახელზე აღრიცხულმა საწარმომ შემოსავალი მიიღო სამეწარმეო საქმიანობიდან, რაც არ ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. შესაბამისად, მიღებული შემოსავალიც არ არის უკანონო.
- ასევე გასათვალისწინებელი იყო, რომ მისი ქმედებით ზიანი არავის განუცდია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ (შემდგომში „პალატა“), სამი მოსამართლის შემადგენლობით და პაატა სილაგაძის თავმჯდომარეობით, გამამტყუნებელი განაჩენი გააუქმა და მსჯავრდებული პირი გაამართლა. პალატამ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

- **„საქმის მასალებით არ დასტურდება მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ასევე არ დასტურდება ის ფაქტი, რომ მან შემოსავალი დანაშაულებრივი გზით მიიღო და მხოლოდ შემდეგ მოახდინა მისთვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დამალვა და შენიღბვა, რადგან საწარმო შემოსავალს იღებდა კანონიერი სამეწარმეო საქმიანობიდან. [...] აქედან გამომდინარე კი ა.ს.-ის მიერ კომპანიის კუთვნილი კანონიერი თანხების განკარგვა ვერ შეფასდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციად და მის უკანონო განზრახვად, მიესაკუთრებინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულადი სახსრები“.**

განაჩენში ასევე აღნიშნულია, რომ ბრალდების მხრიდან საუბარი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე, დამდგარ ზიანსა და, მით უფრო, განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღებაზე, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

1.2. პოზიცია ჯგუფების/უმცირესობების მიმართ

სამართლებრივი საკითხი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციფიკა. რა ხდება, თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეროვნული კანონმდებლობა ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის დაცვის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს?[5]

ფაქტები: ქუთაისის საქალაქო სასამართლომ პირი დამნაშავედ ცნო ჯგუფური ქურდობის მცდელობაში. სასამართლომ მსჯავრდებულს სასჯელის სახედ და ზომად საბოლოოდ დაუნიშნა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაუთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდებულმა დანაშაული არასრულწლოვნების პერიოდში ჩაიდინა, ხოლო საქმის სასამართლოში გადაგზავნის მომენტისათვის (2013 წლის 6 მარტი) იგი 17 წლისა და 9 თვის იყო. მსჯავრდებული სრულწლოვანი გახდა 2013 წლის 2 ივნისს, ხოლო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა 2013 წლის 9 სექტემბერს (საქმის სასამართლოში შესვლიდან, დაახლოებით, 6 თვის შემდეგ).

ბრალდების მხარემ განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა და სასჯელის შეცვლა მოითხოვა. ქუთაისის საააპელაციო სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა და მიუთითა იმ დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის **63-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომლის თანახმადაც, სასამართლოს ეკრძალებოდა დანიშნული სასჯელი პირობითად ჩაეთვალა იმ მსჯავრდებულისთვის, რომელსაც განაჩენის გამოტანის მომენტისთვის შეუსრულდა 18 წელი.** მსჯავრდებულმა ეს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა (შემდგომში „პალატა“), სამი მოსამართლის, მათ შორის, პაატა სილაგაძის მონაწილეობით, დაეთანხმა კასატორის საჩივარს და მის მი-

[5] **საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განაჩენი საქმეზე N265აპ-15.**

მართ გამოყენებული საპატიმრო სასჯელი, პირველი ინსტანციის მსგავსად, კვლავ პირობითი მსჯავრით შეცვალა.

პალატამ მიუთითა:

- **„საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვან ბრალდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა თვრამეტი წელი, სასამართლო უფლებამოსილი არ არის, მის მიმართ გამოიყენოს პირობითი მსჯავრი, მაგრამ აღნიშნული მუხლის მოთხოვნა წინააღმდეგობაშია საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და აქტებით დადგენილ სტანდარტებთან“.**

პალატამ იხელმძღვანელა განაჩენის გამოტანისას მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლის დანაწესით და განმარტა, რომ არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის პროცესში სავალდებულო იყო არასრულწლოვნის უფლებათა საერთაშორისო გარანტიების სრული დაცვა. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის იმ დროს მოქმედი რედაქციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერით, კერძოდ: **„საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“.**

პალატამ ყურადღება გაამახვილა ისეთ დოკუმენტებზეც, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ბავშვის უფლებათა დაცვისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, კონვენციები, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, ხელშეკრულებები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები. პალატის მსჯელობა ძირითადად ეფუძნებოდა მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას ბავშვის მიმართ, მისი საუკეთესო ინტერესების დაცვას და ტენდენციას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ტრადიციული მიზანი – დამნაშავის დასჯა – დანაშაულის ჩამდენი ბავშვისთვის შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ამოცანებით. ამ დოკუმენტების ანალიზის შემდგომ პალატამ მიუთითა:

- მსჯავრდებულის სისხლის სამართლის საქმის განხილვა **„აშკარად გასცდა გონივრულ ვადებს. მარტო სასამართლოში საქმის განხილვა გაჭიანურდა თითქმის 6 თვეს, [რამაც ხელი შეუშალა] ეფექტიანად განხორციელებულიყო სამართლიანი მართლმსაჯულება არასრულწლოვნის მიმართ და სასამართლო არ შეზღუდულიყო პირობითი მსჯავრის გამოყენებით, თუ მიზანშეწონილად მიიჩნევდა მის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებას, რათა არ მომხდარიყო არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლირება. აღნიშნულმა კი ცალსახად განაპირობა არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმის განხილვის საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებული პრინციპების დარღვევა“.**

საბოლოოდ, პალატამ გააკეთა მეტად მნიშვნელოვანი განმარტება:

- **„ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულება, რომ თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისთვის შეუსრულდა 18 წელი, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დანიშნული სასჯელი ჩაუთვალოს პირობით, წინააღმდეგობაშია ზემოთ მითითებულ საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებთან, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად კი, ამ დროს უპირატესი ძალა უნდა მივანიჭოთ საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს. შესაბამისად, პალატა უფლებამოსილია, უპირატესი ძალა მიანიჭოს საერთაშორისო სტანდარტებს და იმსჯელოს მსჯავრდებულის მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხზე“.**

შენიშვნა: საქმე თავისი მნიშვნელობით არის პრეცედენტული და მეტად უჩვეულო ქართული მართლმსაჯულებისთვის. ფაქტობრივად, არ არსებობს შემთხვევები, როდესაც საერთო სასამართლოები ეროვნული კანონმდებლობის იმპერატიულ ჩანაწერს საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით დაძლევდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილება, დიდი ალბათობით, გამომდინარეობს საკითხის სენსიტიურობიდან, რაკი ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას. აღსანიშნავია, რომ განაჩენის გამოტანის პარალელურად, 2015 წლის 12 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომლის ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2016 წლის 1 იანვარი. ეს დოკუმენტი სადავო საკითხს ბავშვის ინტერესების სასარგებლოდ წყვეტდა. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის სასჯელის პირობითად ჩათვლის საკვანძო მომენტი იყო მისი ასაკი არა განაჩენის გამოტანის დროისათვის, არამედ დანაშაულის ჩადენისას.[6]

1.3. გახმაურებული საქმეები

გია გვიჩიანის და ნიკა ჩემიას საქმე

ფაქტები: გია გვიჩიანი და ნიკა ჩემია 2006 წელს საერთო სასამართლოებმა დამნაშავედ ცნეს ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობაში და სასჯელის სახედ უვადო თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, 2012 წელს პროკურატურამ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენის ვერსია ეჭვქვეშ დააყენა. მან მიუთითა, რომ 2006 წელს პროკურატურას ჰქონდა აშშ-ის ფედერალური ბიუროს საექსპერტო დაწესებულების დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მკვლელობის ადგილიდან ამოღებული თითის ორი ანაბეჭდი არ ეკუთვნოდათ მსჯავრდებულებს. პროკურატურამ განაცხადა, რომ აღნიშნული დასკვნა არ დართვია სისხლის სამართლის საქმეს და არ წარდგენილა სასამართლოში. პროკურატურის განცხადებით, **„ექსპერტიზის დასკვნები ზრდის ვარაუდს იმის შესახებ, რომ მკვლელობაში მსჯავრდადებულ პირებს მკვლელობა არ ჩაუდენიათ“**.[7]

- პროკურატურის ამ განცხადების შემდეგ, მსჯავრდებულთა ადვოკატებმა ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო, განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მსჯავრდებულთა გამართლება მოითხოვეს. დაცვის მხარე სასამართლოში ამტკიცებდა, რომ **„ბრალდების მხარემ დამალა აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დნმ-ის ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც მოხდა საქმეში ეჭვმიტანილად ცნობილი პირების ბიოლოგიური ნიმუშების იდენტიფიცირება იმ უმნიშვნელოვანეს ნივთიერ მტკიცებულებებთან, რომლებიც ნიკა ლომინაძის მკვლელობის ადგილის დათვალიერების დროს იქნა აღმოჩენილი და რომლითაც გამოირიცხა ნიკა ჩემიას [...] ყოფნის ფაქტი მკვლელობის ადგილას“**.[8]
- **თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიამ, ლევან თევზაძის მონაწილეობით**, შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, თუმცა მსჯავრდებულებს უვადო თავისუფლების აღკვეთა 15-წლიანი თავისუფლების აღკვეთით შეუცვალა.[9] როგორც დაცვის მხარე აცხადებდა მედიასთან მიცემულ ინტერვიუში, სასამართლომ ჩათვალა, რომ დნმ-სა და თითის ანაბეჭდზე არსებული დასკვნები არ იყო ახლად გამოვლენილი გარემო-

---

[6] **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, დოკუმენტი N 3708-IIს, გამოქვეყნდა: 24/06/2015.**

[7] **„ნიკა ლომინაძის მკვლელობა შესაძლოა ყალბ წერილებს უკავშირდებოდეს“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KKINZZ [უკანასკნელად შემოწმდა: 30.08.2019].**

[8] **საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 01 მაისის განაჩენი საქმეზე N43აგ-13.**

[9] **„თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნიკა ჩემიასა და გიორგი გვიჩიანს სასჯელი შეუმცირა“, ხელმისაწვდომია: http://www.tbappeal.court.ge/?news=220&mc= [უკანასკნელად შემოწმდა: 30.08.2019].**

ება, რადგან ამ დოკუმენტების არსებობა პროკურატურამ იცოდა [თუმცა კი დასკვნა დამალა და არ ჩადო სისხლის სამართლის საქმეში].[10]

შენიშვნა: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. განაჩენის გადასინჯვის ერთი-ერთი საფუძველია მხარის მიერ ისეთი ახალი ფაქტის ან მტკიცებულების წარდგენა სასამართლოსთვის, რომელიც განაჩენის გამოტანისას არ იყო ცნობილი და, თავისთავად ან სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად, ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას.[11]

აღსანიშნავია, რომ ლევან თევზაძის განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, სამი მოსამართლის შემადგენლობით, რომელსაც პაატა სილაგაძე თავმჯდომარეობდა. პალატა სრულად დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენს, თუმცა ყურადღება არ გაუმახვილებია ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ფარგლებში სასჯელის შემცირების დაუშვებლობაზე.

2016 წელს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა[12] ახალი გამოძიების ფარგლებში გამოავლინა, რომ მსჯავრდებულებს ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედება არ ჩაუდენიათ. შესაბამისად, პროკურატურამ ამ საქმეზე სასამართლოს განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით მიმართა. პროკურატურა განცხადებაში განმარტავს:

- **„ხელახალი გამოძიების ფარგლებში ჩატარებული კომპლექსურ-კომისიური, ფიზიკო-ტექნიკური და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, გარდაცვლილის სხეულზე არსებული ჭრილობის სურათის მიხედვით, კატეგორიულად გამორიცხავს სასამართლოების მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას - ნიკოლოზ ლომინაძის მაყუჩიანი იარაღით მკვლელობის თაობაზე“.**[13]

2017 წლის 20 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ, მანუჩარ კაპანაძემ,[14] გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა, მსჯავრდებულები უდანაშაულოდ ცნო და პატიმრობიდან გაათავისუფლა.[15]

შენიშვნა: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს, 2016 წლის 26 ივნისის ცვლილებით, განაჩენის გადასინჯვის ახალი საფუძველი დაემატა. განაჩენის გადასინჯვა შესაძლებელი გახდა პროკურატურის ინიციატივით, თუ ის სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში დაადგენს ბრალდებულის უფლების არსებით დარღვევას. თუმცა, აუცილებელი პირობაა, აღნიშნული გარემოება გადასასინჯი განაჩენის გამოტანისას ცნობილი არ ყოფილიყო მხარეებისთვის და, თავისთავად ან/და სხვა დადგენილ

---

10 „ნიკა ლომინაძის მკვლელობა შესაძლოა, ყალბ წერილებს უკავშირდებოდეს“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2KKINZZ [უკანასკნელად შემოწმდა: 30.08.2019].

11 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ზ“ პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე დოკუმენტი N1772, 03/11/2009.

12 საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი.

13 „პროკურატურამ სამ გახმაურებულ საქმეზე უკანონოდ მსჯავრდებული პირების განაჩენების გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Z7VndK [უკანასკნელად შემოწმდა: 30.08.2019].

14 „გია გვიჩიანი და ნიკა ჩემია სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს“ ხელმისაწვდომია https://bit.ly/307nly5

15 „სასამართლომ ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობაში მსჯავრდებულები უდანაშაულოდ ცნო“ ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33ASDF5

გარემოებასთან ერთად, ამტკიცებდეს მსჯავრდებულის უდანაშაულობას.[16] სწორედ ეს საფუძველი გამოიყენა პროკურატურამ მსჯავრდებულთა გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვისთვის.

1.4. უზენაესი / საკონსტიტუციო და საერთაშორისო/რეგიონული სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება

კანდიდატის მიერ საერთაშორისო/რეგიონული სასამართლოების პრაქტიკისა და, ზოგადად, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების გამოყენების ყველაზე მართებული მაგალითია წინამდებარე დოკუმენტის 1.2. თავში განხილული განაჩენი.[17]

ამ განაჩენში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, სამი მოსამართლის შემადგენლობით, რომელსაც კანდიდატი პაატა სილაგაძე თავმჯდომარეობდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების/ბავშვის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რეკომენდაციებსა და სხვა აქტებზე მითითებით, დაძლია ეროვნული კანონმდებლობის იმპერატიული ჩანაწერი და საკითხი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სასიკეთოდ გადაწყვიტა.

შენიშვნა: განაჩენის ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტები დეტალურად არის განხილული წინამდებარე დოკუმენტის 1.2 ქვეთავში, ამიტომ ამ ნაწილში მასზე დამატებით ყურადღება აღარ მახვილდება.

1.5. განსხვავებული აზრი / წარდგინებები

ხელმისაწვდომი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კანდიდატმა, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ მუშაობისას, არაერთხელ მიმართა წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოს. საინტერესოა რამდენიმე მათგანი:

სამართლებრივი საკითხი: 2009 წლამდე მოქმედი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა (1960 წლის 30 დეკემბრის კანონი) და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) ნორმების კონსტიტუციურობა.[18]

ფაქტები: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 22 იანვარს №1/1/548 საქმეზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოაცხადა 2009 წლიდან მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარკვეული ნორმები. ეს ნორმები ეხებოდა ირიბი ჩვენებების გამოყენების არაკონსტიტუციურ წესს ბრალდებაზე დადგენილებისა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, მსჯავრდებულებმა მიმართეს სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებს და მათი განაჩენების გადასინჯვა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელთა შემადგენლობაშიც ყველგან ფიგურირებს კანდიდატი, 11 წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ამტკიცებდნენ, რომ 2009 წლამდე მოქმედი სისხლის სამარ-

---

[16] **საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „81“ პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე დოკუმენტი N1772, 03/11/2009.**

[17] **საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის განაჩენი საქმეზე N265აპ-15.**

[18] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება №3/3/ 685, 686, 687, 688, 689, 736, 737, 758, 793, 794, 820 საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინებებზე.**

თლის საპროცესო კანონმდებლობა ირიბი ჩვენების გამოყენების იმავე წესს შეიცავდა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ უკვე ცნო არაკონსტიტუციურად. შესაბამისად, ძველი საპროცესო კანონმდებლობით მსჯავრდებულთა განაჩენების გადასინჯვისას, უზენაეს სასამართლოს უწევდა არაკონსტიტუციური ნორმების გამოყენება, რაც, თავის მხრივ, არღვევდა ამ პირთა კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, კერძოდ, იმ დროს მოქმედი რედაქციის მე-40 მუხლის მესამე პუნქტს. ამ პუნქტის მიხედვით, **„დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს“**. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს უარი უთხრა ყველა ამ წარდგინების მიღებაზე და მიუთითა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში აღნიშნა:

- **„წარდგინების ავტორი საერთოდ არ მიუთითებს იმას, თუ რატომ წარმოადგენს ხსენებული ნორმა კანონს „რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის (2009 წლამდე მსჯავრდებულთა განაჩენების გადასინჯვის) გადაწყვეტისას.“**

შემდეგ მან განმარტა:

- **„მოცემული წარდგინებებით, უზენაესი სასამართლო ითხოვს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შექმნას ფაქტობრივი საფუძვლები საქმისწარმოების განახლებისათვის და არა იმ მარეგულირებელი წესების არაკონსტიტუციურად ცნობისათვის, რომლებიც საქმის წარმოების განახლებას ზღუდავს“.**
- **„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად რომელი სამართლებრივი ნორმის გამოყენება სჭირდება მას. თუმცა, ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, განსაზღვროს მისი კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლები“.**

საკონსტიტუციო სასამართლომ მისივე კომპეტენციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იმ დროს მოქმედი კანონმდებლობა მას აძლევდა საშუალებას, საერთო სასამართლოების წარდგინების საფუძველზე ემსჯელა მხოლოდ იმ (და არა ნებისმიერი) კანონის შესახებ, რომელიც უნდა გამოეყენებინა საერთო სასამართლოს კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ უზენაეს სასამართლოს მიუთითა:

- **„მოცემულ შემთხვევაში წარდგინების ავტორი არ მიუთითებს, რომ სადავო ნორმა წარმოადგენს ისეთ კანონს, რომლის გამოყენებაც უზენაეს სასამართლოს საქმის გადაწყვეტისას სჭირდება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა უზენაესი სასამართლოს მიერ გამოსაყენებელი კანონის არასწორი იდენტიფიცირება, არამედ წარდგინების ავტორის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის კანონით განსაზღვრული ფარგლების არასწორი აღქმა“.**

შენიშვნა: აღნიშნული განჩინება მნიშვნელოვანია იმით, რომ წარდგინებებზე, სადაც კანდიდატი ფიგურირებდა, საკონსტიტუციო სასამართლომ უზენაეს სასამართლოს მიუთითა კანონმდებლობის ნორმებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლების სწორად გააზრებაზე.

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება არ გამოყენებულა, მაგრამ ფიქსირდება ერთი შემთხვევა:
  - 2014 წლის აგვისტოში ადვოკატებმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა სასამართლოს საქმე არ განუხილავს 7 თვის განმავლობაში. 2015 წლის 25 მარტს ადვოკატებმა კვლავ მიმართეს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვეს საჩივრის განხილვა დიდი პალატის მიერ. მიმართვიდან მეორე დღეს, 26 მარტს, ადვოკატებმა კონვერტით მიიღეს მოსამართლეების, პაატა სილაგაძის, მაია ოშხარელისა და გიორგი შავლიაშვილის გადაწყვეტილება, დათარიღებული 13 მარტით, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უცვლელი დარჩა.
  - ადვოკატების განცხადებით, წერილის მისატანად ფოსტას 13 დღე არ სჭირდება. მათ მიაჩნდათ, რომ მოსამართლეებმა გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც დაცვის მხარემ საქმის დიდ პალატაში განხილვა მოითხოვა. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების თარიღიც არასწორად მიუთითეს. ადვოკატებმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართეს მოთხოვნით, რომ დაწყებულიყო დისციპლინური დევნა საქმის განმხილველი მოსამართლეების მიმართ.[1]

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. საქმიანობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

მოსამართლე პაატა სილაგაძის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობისას:

- დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი. გათავისუფლების მიზეზი გახდა მისი განცხადებები სასამართლოში არსებულ სისტემურ პრობლემებზე.[2]
- სავარაუდოდ, საბჭოდან გამუღავნდა მოსამართლეთა საგამოცდო ტესტები.[3] ამ საკითხზე იუსტიციის უმაღლესი საბჭო შიდა მოკვლევას აწარმოებდა, თუმცა შედეგები უცნობია.
- ცნობილი გახდა, რომ მოსამართლე ნათია გუჯაბიძე საცხოვრებელ ბინას საკუთარი დედისგან ქირაობდა და ეს ხარჯი, წლების განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან იფარებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განაცხადა, რომ ინფორმაცია მოსამართლე ნათია გუჯაბიძის მიერ სახელმწიფო თანხების გაფლანგვის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამებოდა.[4] „საქართველოს

---

[1] ადვოკატებმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართეს სამი მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დასაწყებად, იხ. http://bit.ly/31wUY1Z

[2] მოვლენების ქრონოლოგია მამუკა ახვლედიანის პირველი განცხადებიდან მის გათავისუფლებამდე, იხ. http://bit.ly/2ST69iw

[3] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ანგარიში „სასამართლო სისტემის მდგომარეობა 2012-2016“, გვ. 16. იხ. https://bit.ly/2JYEcD7

[4] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განცხადება, იხ. http://bit.ly/2ZjPib7

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მიიჩნევდა, რომ ამ საკითხზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინური სამართალწარმოება უნდა დაეწყო, პროკურატურას კი – გამოძიება.[5] საზოგადოებისთვის უცნობია, მოჰყვა თუ არა ამ ფაქტს სამართლებრივი რეაგირება.

- აქტიურად გამოიყენებოდა მოსამართლეთა უკონკურსოდ გადაყვანისა და დაწინაურების მექანიზმი. სწორედ ამ პერიოდში 7 მოსამართლე უკონკურსოდ დაწინაურდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.[6]

[5] „საია“ მოსამართლე ნათია გუჯაბიძის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმიანება, იხ. http://bit.ly/2YjwfRN

[6] ცნობილია დაწინაურებულ მოსამართლეთა ვინაობა, იხ. https://bit.ly/314i6oo

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 1998-1999 წლებში პაატა სილაგაძე იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სპეციალისტი, 1999 წლიდან კი – თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის მოსამართლის თანაშემწე. 2004-2006 წლებში იგი მუშაობდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკისა და დისციპლინური სამართალწარმოების დეპარტამენტის კონსულტანტად, შემდეგ ეკავა უფროსი კონსულტანტის თანამდებობაც.
- 2006 წელს პაატა სილაგაძე დაინიშნა მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ და ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ. 2008-2019 წლებში იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეა. 2019 წლის 3 ივნისიდან პაატა სილაგაძე უვადოდ დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლედ.
- 2013-2017 წლებში მოსამართლე პაატა სილაგაძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იყო.

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- კანდიდატ პაატა სილაგაძეს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი პაატა სილაგაძე ნასამართლევი არ არის.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო (უწყვეტი ზოლის გადაკვეთა).
- 2011 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში პაატა სილაგაძე იყო მოპასუხე და შეგებებული სარჩელის ავტორი განქორწინების საქმეში.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- პაატა სილაგაძე არასოდეს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- სხვადასხვა კვლევა თუ ანგარიში ხშირად მიუთითებს სასამართლოში კლანურ მმართველობაზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მოსახლეობის 43% ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემაში კლანი არსებობს.[1] სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში მომზადებულ სიუჟეტში საუბარია კლანის წევრების, მისი ლიდერების და კლანური მმართველობის შესახებ.[2] ამ საკითხზე მიუთითებს „კავკასია TV“-ზე გასული სიუჟეტიც.[3] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ პაატა სილაგაძეს კლანის ერთ-ერთ გავლენიან წევრად მოიაზრებს.[4]
- 2013 წლის ივნისში გამართულ მოსამართლეთა კონფერენციაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად აირჩიეს ლევან მურუსიძე. კენჭისყრის დაწყების წინ საბჭოს მდივნობის ოთხმა კანდიდატმა – მოსამართლეებმა პაატა სილაგაძემ, ილონა თოდუამ, გიორგი შავლიაშვილმა და თამარ ალანიამ – საკუთარი კანდიდატურები ლევან მურუსიძის სასარგებლოდ მოხსნეს.[5]
- 2018 წლის დეკემბერში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, ყოველგვარი ფორმალური პროცედურების გვერდის ავლით, პარლამენტს წარუდგინა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 10 კანდიდატი, რომელთა შორის იყო პაატა სილაგაძეც.[6]
- იმ პერიოდში, როცა პაატა სილაგაძე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი იყო, საბჭომ მხარი დაუჭირა ლევან მურუსიძის (სამწლიანი ვადით) და მიხეილ ჩინჩალაძის (უვადოდ) მოსამართლეებად განწესებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში; ასევე, მიხეილ ჩინჩალაძის თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშვნას.

---

1 „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევა, იხ. http://bit.ly/31oJw8A

2 ჩინჩალაძის კლანი – სასამართლო რეფორმის კრახი, იხ. http://bit.ly/2YWYa9D

3 კლანი სასამართლო სისტემაში – არასამთავრობოების სქემა, იხ. http://bit.ly/2Ttes5b

4 კოალიციის მიმართვა საქართველოს პარლამენტს, იხ. https://bit.ly/2Jc8ow5

5 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში #2, გვ. 28, იხ. http://bit.ly/2KBincY

6 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატები დაასახელა, იხ. http://bit.ly/2M2HF5S

- პაატა სილაგაძის თანადროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები იყვნენ: ლევან მურუსიძე (საბჭოს მდივანი), მერაბ გაბინაშვილი, შოთა გეწაძე, ილონა თოდუა, თამარ ალანია, ლევან თევზაძე - პირები, რომლებიც მიიჩნევიან სასამართლოში არსებული კლანის წევრებად.
- პაატა სილაგაძის მეუღლე, თეა გიორგაძე, არის საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი პროკურორი.
- პაატა სილაგაძის მეუღლის და, ნინო გიორგაძე, მუშაობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს უფროს სპეციალისტად.

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

პაატა სილაგაძის პერსონალური ანგარიში რეგისტრირებულია სოციალურ ქსელ Facebook-ზე, თუმცა, იგი საჯაროდ არ აფიქსირებს მოსაზრებებს თავის გვერდზე.

კანდიდატის სხვა აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ მან Facebook-ზე მოიწონა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების სერგო მეთოფიშვილისა და დიმიტრი გვრიტიშვილის რამდენიმე პოსტი, კერძოდ:

სერგო მეთოფიშვილის პოსტი:[1] **„დიდი ხანია ხმას არ ვიღებ... თუმცა, სასამართლოზე, მოსამართლეებზე და მართლმსაჯულებაზე თავდასხმა უფრო და უფრო საშიშ და მახინჯ ფორმებს ღებულობს!!! ამ მიმართულებით, განსაკუთრებით გააქტიურდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არაკეთილსინდისიერი და არაკომპეტენტური წევრები – ანა დოლიძე და ნაზიბროლა ჯანეზაშვილი... ამიტომ, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა, გადავწყვიტე, გავაგრძელო დამოუკიდებელი სასამართლოს დაცვა და ჩვენს საზოგადოებამდე მივიტანო სიმართლე!!!“**

„ძალიან კარგად ვხედავ, რა ბინძური პროვოკაცია აქვს ჩაფიქრებული ამ დღეებში ანა დოლიძეს სასამართლოს მიმართ!!! მას სურს, ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარება გამოიყენოს სასამართლოს დისკრედიტაციისათვის“.

დიმიტრი გვრიტიშვილის პოსტი:[2] **„ანა დოლიძე მოუწოდებს ქალბატონ მზია თოდუას – ვინაიდან იგი ასრულებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას, ასევე შეასრულოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობაც, რათა საბჭოს არ გაუძღვეს გიორგი მიქაუტაძე. აბსოლუტურად არაკომპეტენტური და სამარცხვინო პოზიციაა!“**

---

[1] პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/

[2] პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/1A

„ანა დოლიძისათვის ინსტიტუციების ფუნქციონირება პიროვნულ შეთავსებაზეა დამოკიდებული, რადგან მისთვის საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციისათვის გიორგი მიქაუტაძის პიროვნებაა მიუღებელი, მოუწოდებს ქალბატონ მზია თოდუას კანონის დარღვევისაკენ! თუ ეს იცის ქალბატონმა დოლიძემ, მაშინ გამოდის, რომ მას მიზანმიმართულად სურს სასამართლო სისტემაში უთანხმოების ახალი კერის შექმნა, მოსამართლეებს შორის დაპირისპირების პროვოცირება!“

დიმიტრი გვრიტიშვილის პოსტი[3] (სადაც იგი ვენეციის კომისიის დელეგაციასთან შეხვედრის დეტალებს განიხილავს და აღნიშნავს): „გამოვთქვით წუხილი, რომ საქართველოს პარლამენტმა არ გაიზიარა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია – უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობაზე აერჩია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რაც გამორიცხავდა პროცესიდან პოლიტიკურ შემადგენელს. ამის ნაცვლად, არჩეულ იქნა შერეული და ორდნონიანი მოდელი, სადაც საბჭო ახორციელებს კანდიდატთა ნომინირებას და საქართველოს პარლამენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. სწორედ ამით ისარგებლეს ჩვენმა ოპონენტებმა – გარკვეულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა და არასამთავრობო სექტორმა, რომლებმაც 2018 წლის დეკემბრიდან დაიწყეს არნახული, ოკრესტრირებული შტურმი სასამართლო ხელისუფლებაზე. მათი „არსენალი“ მრავალფეროვანია: სიძულვილის, მუქარის და დამამცირებელი ენით საუბარი და საზოგადოებაში აგრესიის წახალისება მოქმედი მოსამართლეების მიმართ, ცილისმწამებლური ვიდეოების დამზადება, დანაშაულების დაბრალება და სხვა“.

დიმიტრი გვრიტიშვილის პოსტი:[4] „რიგში ჩადგნენ არასამთავრობოები (განსაკუთრებით - ეკა გიგაური და გიორგი მშვენიერაძე) და მათი მეგობრები, რუპორები ანა დოლიძე და ნაზი ჯანეზაშვილი, რომ მორიგ ჯერზე შეაყარონ თვალში ნაცარი საზოგადოებას, თითქოს ჩვენ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გავაკრიტიკეთ“.

„უკვე თვალშისაცემია, რომ სწორედ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები მოქმედებენ კლანური პრინციპით: აბა, ბოლოს როდის გახსოვთ, რომ მათგან რომელიმე ორგანიზაციამ განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა? ვერ გაიხსენებთ, იმიტომ, რომ ქართული არასამთავრობო სექტორი, ფაქტობრივად, წარმოდგენილია რამდენიმე ადამიანით, რომლებიც ყოველთვის ერთ აზრზე არიან და ერთ ხმაში საუბრობენ. მეტიც: მათი ლექსიკა ერთი-ერთში ემთხვევა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ლექსიკას!“

დიმიტრი გვრიტიშვილის პოსტი:[5] „ანა დოლიძე თანდათან კარგავს სახეს და თვითკონტროლს. არაერთხელ მითქვამს: მისი მოწოდება არასდროს ყოფილა სასამართლო ხელისუფლების ნაწილად ქცევა. ეს ყოველთვის იყო პოლიტიკოსი, მართალია, დიდი გაქანებისაც არა, მაგრამ მაინც ცდილობდა პოლიტიკაში თვითდამკვიდრებას. ახლაც აგრძელებს იაფფასიან, ავანტიურისტულ კამპანიას. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლების, მოსამართლეების ლანძღვაზე აღარ მაქვს საუბარი, არაერთგზის დამიწერია და აღარ გავიმეორებ. თავს ესხმის ყველას, პოლიტიკოსებიდან დაწყებული სპორტული სამყაროს წარმომადგენლებით დამთავრებული. ხან პარლამენტის თავმჯდომარეს გალანძღავს, ხან მმართველი პარტიის პოლიტიკას აკრიტიკებს, ხანაც მსჯელობს - უნდა ჰქონდეს თუ არა „გლოვოს“ ქალაქში პიცის ერთპიროვნულად ტარების უფლება. ერთი სიტყვით, ანა დოლიძე ნემსის ყუნწში ძვრება, რომ როგორმე აქტუალობა არ დაკარგოს მისმა პერსონამ, ყველას ყოველდღიურ რეჟიმში ეჩხირება თვალში“.

---

[3] პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/

[4] პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/

[5] პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/1

დიმიტრი გვრიტიშვილის პოსტი:[6] „3 თებერვალს დღის შუქი იხილა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, უფრო ზუსტად – ამ ასოციაციის მმართველი რგოლის მიერ შემუშავებულმა „რეზოლუციამ“, რომელიც არის უკანონო, დაუსაბუთებელი, არაკომპეტენტურობისა და პროვოკაციის ნაზავი... „რეზოლუციის“ ავტორი მოქმედ მოსამართლეებს პირდაპირ გვაბრალებს დანაშაულებს, თურმე 2012 წლამდე ჩვენ პოლიტიკური ნიშნით ვაპატიმრებდით ხალხს, პროფესიული საქმიანობის გამო მასშტაბურად ვდევნიდით ადვოკატებს და სხვა; თურმე საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დაგვიმკვიდრებია „დაუსაბუთებელი, არამართებული, ტენდენციური გადაწყვეტილებების მიღების“ წესი, ჩამოგვიყალიბებია „სასამართლო სისტემაში მმართველობის მანკიერი ფორმა“ და სხვა. ჩემდა სამწუხაროდ, ასოციაციის დღევანდელმა ხელმძღვანელმა, დავით ასათიანმა, და მისმა ჯგუფმა გააგრძელეს წინა თავმჯდომარის – ზაზა ხატიაშვილის მართლაც მანკიერი ხაზი: პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა, არაეთიკური და ცილისმწამებლური კამპანიის წარმოება სასამართლოს მიმართ.“

სერგო მეთოფიშვილის პოსტი:[7] „ჯანეზაშვილს და დოლიძეს არ გააჩნიათ არგუმენტები. საზოგადოებამ კარგად დაინახა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მე სწორად ვაფასებ მათ თავხედ ადამიანებად! (მაგალითად, გახსოვთ ალბათ დოლიძის რამდენიმე დღის წინ გაკეთებული თავხედური განცხადება, რომ „უვადოდ დანიშნულ მოსამართლეთა შორის არის ხალხი, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს“). დღეს საზოგადოება ასევე დარწმუნდა, რომ ესენი (ჯანეზაშვილი და დოლიძე) არიან არაკეთილსინდისიერი, არაკომპეტენტური და არაკვალიფიციური ადამიანები, რომლებსაც თავისი პოზიციების დაცვაც კი არ შეუძლიათ, არ შეუძლიათ არანაირი არგუმენტირება და დასაბუთება საკუთარი პოზიციების. თუმცა, ეს მათი საკუთარი პოზიცია არ არის და ამიტომაც ვერ ასაბუთებენ!“

სერგო მეთოფიშვილის პოსტი:[8] „კიდევ ერთხელ მინდა სიმართლისთვის დიდი მადლობა გადავუხადო ყველა უცხოურ საერთშორისო ორგანიზაციას, რომლებიც ობიექტურად და კეთილსინდისიერად აკვირდებიან და აფასებენ ჩვენს ქვეყანაში და, განსაკუთრებით, სასამართლოში მიმდინარე რეფორმებს. გულწრფელი მადლობა მათ ობიექტურობისათვის! მადლობა მათ: მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მუდმივად არაკეთილსინდისიერად აფასებს დღევანდელ სასამართლოს, ავრცელებს დაუსაბუთებელ შეურაცხმყოფელ თითქოს კვლევებს, სინამდვილეში კი ჭორებს (მაგალითად, სისტემურ კორუფციაზე, კლანურ მმართველობაზე და ა.შ.) მოსამართლეებზე და მთლიანად სასამართლოზე და ა.შ. - მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ტელევიზია მუდმივად ცდილობს კვენტინ ტარანტინოს სტილში გადაიღოს საშინელებათა ფილმები სასამართლოზე, გააკეთოს „ფეიკ ნიუსები“ და გადაცემები სასამართლოზე და ა.შ. [...] მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი არამოსამართლე წევრი (ანა დოლიძე და ნაზიბროლა ჯანეზაშვილი) მუდმივად აკეთებს შეურაცხმყოფელ, პოპულისტურ და დემაგოგიურ განცხადებებს, რითაც, ჩემი აზრით, მიზანმიმართულად ახორციელებენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სასამართლოს სისტემისა და მოსამართლეების დისკრედიტაციას.“

სერგო მეთოფიშვილის 2018 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნებული პოსტი ლევან მურუსიძის უვადო მოსამართლედ დანიშვნასთან დაკავშირებით:[9] „ვულოცავ ლევან მურუსიძეს! ვულოცავ სასამართლო სისტემას! ლევანი არის ადამიანი, რომელიც სასამართლო სისტემაში სარგებლობს უდიდესი ავტორიტეტით, კეთილსინდისიერი და ღირსეული პიროვნება, უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლე! ბევრ წარმატებას ვუსურვებ!“

---

6 პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/1P

7 პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/11

8 პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/1

9 პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/11Y

სერგო მეთოფიშვილის პოსტი:[10] **„მოვისმინე tv „იმედზე“ ე. ბესელიას კომენტარი. მისი აზრით, გამოდის, რომ ვინც წინა მთავრობის დროს მოსამართლედ მუშაობდა, ყველა არაკეთილსინდისიერია და ამიტომ მოიფიქრა „გადასარევი“ გამოსავალი – გარედან უნდა შევიყვანოთ ხალხი უზენაესში. ეს არის სრული აბსურდი და კატეგორიულად მიუღებელია ნებისმიერი ღირსეული და პატიოსანი ადამიანისათვის! გარდა ამისა, ეს იქნება გამოუსწორებელი უარყოფითი დარტყმა, რომელიც მნიშვნელოვნად დააზარალებს სასამართლოს დამოუკიდებლობას და დააზიანებს მართლმსაჯულების ხარისხსა და ეფექტიანობას! [...] ე. ბესელიას და მისნაირ პოლიტიკოსებს არ აინტერესებთ თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკა! რეალურად, მათ უნდათ, რომ გარედან მოხდეს უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტება პოლიტიზირებული არასამთავრობოებისა და მათ მიერ, ანუ ბესელიას და მისნაირი პოლიტიკოსების მიერ მოწონებული ხალხით, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაშია ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან და უცხოეთის პრაქტიკასთან“.**

სერგო მეთოფიშვილის მიერ 2018 წლის 31 დეკემბერს გამოქვეყნებული პოსტი:[11] **„ბოლო დღეებში ვიხილეთ ცალკეული პარლამენტარების გამოსვლები, რომელთაც თითქოსდა ამოძრავებთ სასამართლო სისტემის „გაჯანსაღების“ მოტივი. არადა, სახეზეა ცუდად შეფუთული, რეალურად, მეტად შემაშფოთებელი მცდელობა - დასაჯონ სასამართლო ხელისუფლება მათთან შეუთანხმებელი, თუმცა, სრულიად კანონიერი მოქმედებებისთვის. რეალურად კი ყველაფერი მარტივადაა – რატომ წინასწარ არ შევუთანხმეთ მოსამართლეთა კანდიდატების სია ე. ბესელიას და ისე „გავბედეთ“ წარდგენა. რეალურად, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფს (და არა ხელისუფლების ჯანსაღ ნაწილს) უნდა სასამართლო სისტემაში გავლენების მოპოვება და უზენაესი სასამართლოს მათდამი ლოიალურად განწყობილი კადრებით დაკომპლექტება. ლევან გოგიჩაიშვილი და მისი რამდენიმე თანამოაზრე პირდაპირ მუქარაზე არიან გადასულები და „იუსტიციის საბჭოს“ დასჯას აპირებენ საკანონმდებლო ბერკეტებით. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბოლო წლებში გატარებული მართლაც ეფექტური რეფორმების შედეგად რეალური დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი სასამართლოს განვითარებას. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ 2012 წლიდან „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ გაატარა კარგი რეფორმები სასამართლო სისტემაში, რომელთა შედეგად, მართლმსაჯულების სისტემა გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისა და პოლიტიკოსების გავლენებისგან! კიდევ კარგი, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის აბსოლუტური უმრავლესობა, რომელიც რეალურად ზრუნავს ქვეყნისა და სასამართლო სისტემის განვითარებაზე, და არა უკანონო გავლენების მოპოვებაზე, ინარჩუნებს საღ პოზიციას! ამიტომ, ეკა ბესელიას და მისი მიმდევრების მცდელობები ვითარებას ვერ შეცვლის!“**

2. პაატა სილაგაძის საჯარო განცხადებები

კანდიდატი პაატა სილაგაძე ერთ-ერთი იყო იმ 10-კაციან სიაში, რომელიც 2018 წლის 26 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა ასარჩევად. მწვავე საზოგადოებრივი გამოხმაურების შემდეგ კანდიდატმა, სიაში მყოფ სხვა მოსამართლეებთან ერთად, გაავრცელა მიმართვა პარლამენტისადმი, რომ მათი კანდიდატურები არ განეხილა. კერძოდ, 10 მოსამართლის განცხადებაში მითითებულია: **„სამწუხაროდ, ამავე დროს, ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა წარდგენილი კანდიდატების მიმართ არაეთიკურ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, რაც, მოგვიანებით, ხელოვნურად გადაიზარდა სასამართლო ხელისუფლებაზე უპრეცედენტო ზეწოლის კამპანიაში, სადაც უკვე პირდაპირ გაისმის მოწოდებები, რეპრესიული გზით დაიშალოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სასამართლო სისტემიდან განდევნილ იქნენ მიუღებელი, მათ შორის, ამ სიაში მყოფი მოსამართ-**

[10] პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/11Y

[11] პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია: https://drive.google.com/file/d/11mVtZ7

ლეები. ყოველივე ეს კი პირდაპირ ზიანს აყენებს სასამართლოს დამოუკიდებლობას და უხეშად ხელყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ცალსახად იმოქმედა თავისი მანდატის ფარგლებში და ზედმიწევნით იხელმძღვანელა ამჟამად არსებული კანონმდებლობით.“[12]

3. კანდიდატ პაატა სილაგაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ირმა გელაშვილის შეკითხვა მოსამართლე პაატა სილაგაძეს: **„თუ შეგიძლიათ, მითხრათ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით, რელიგიის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუ ეს მათ შორის მორალის დასაცავად არის განპირობებული? როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში ბალანსისთვის რა გვჭირდება? და თუ იცით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა?“**

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

> **ამ კუთხით სასამართლო პრაქტიკა მე არ შემისწავლია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ერთი ვიცი, რომ რწმენისა და რელიგიის წინაშე ყველა თანასწორი და თანაბარია და ერთმანეთის რელიგია და რწმენა არ უნდა შეურაცხყოთ.“**

საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა მოსამართლე პაატა სილაგაძეს: **„10 წელზე მეტია, მოსამართლე ხართ, და ამ დროის განმავლობაში არასოდეს ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც რაღაც განსხვავებული აზრის დაფიქსირების სურვილი გაგიჩნდათ?“**

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

> **მე მგონი, 2013 წლის მერე დაიძაბა დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ ისე, რომ მოსამართლეთა კონფერენციას ხშირად უწევს თავისი პოზიციის დაფიქსირება. მანამდე კონფერენცია ცოტა სხვა რეჟიმში მუშაობდა. მე მიმაჩნია, რომ იმ შემოტევებისას, რაც სასამართლო კორპუსის მიმართ იყო, ჩემი ხმაც იქ უნდა ყოფილიყო, სადაც სასამართლოს ერთიანი ხმა იყო. მე მიმაჩნია, რომ სასამართლოს მიმართ იყო შემოტევები და ამ შემთხვევაში სასამართლო სწორად იდგა იმ პოზიციაზე, რაზეც დგას“.**

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„თუ შეგიძლიათ, შეაფასოთ ის პერიოდი, როდესაც თქვენ იყავით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი? 2013 წლიდან იყავით... შემდეგ უკვე რამდენიმე თვით ადრე დატოვეთ თანამდებობა. რატომ?“**

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

> **საკვალიფიკაციო პალატის თავმჯდომარედ ვიყავი წარდგენილი უზენაეს სასამართლოში. შესაბამისად, გამორიცხავს ერთი მეორეს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მაინც მეწურებოდა რამდენიმე თვეში უფლებამოსილება. შესაბამისად, ვიფიქრე, რომ ახალ პალატაში საქმიანობა საინტერესო იქნებოდა. თუმცა, ბევრი საქმე ამ მიმართულებით არ შემოსულა.“**

---

[12] „10 მოსამართლე პარლამენტს მიმართავს, მათი კანდიდატურების განხილვა არ მოხდეს“, https://reginfo.ge/people/item/1.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რამე ინიციატივა ხომ არ გქონიათ?“**

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

ინიციატივა არ მქონია, თუმცა ჯგუფთან ერთად ვიბრძოდი სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის. იმ პერიოდში ახალი დაკომპლექტების წესით არჩეული იუსტიციის უმაღლესი საბჭო იყო და ჩვენ გვქონდა კამათი ერთმანეთთან, გარკვეულ საკითხებზე ვმსჯელობდით და მეც ვიღებდი მონაწილეობას ამ საკითხების განხილვაში. თუმცა, დამოუკიდებლად, პირადი ინიციატივა არ მქონია. ფიზიკურად დროც არ მქონდა, იმდენი საქმე იყო უზენაეს სასამართლოში“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„თუ ყოფილა შემთხვევა, როცა საბჭოს წევრებისაგან გიგრძვნიათ უკმაყოფილება იმის გამო, რომ განსხვავებული აზრი გქონდათ?“**

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

განსხვავებული აზრის გამო უკმაყოფილება არ უნდა იგრძნო ადამიანმა. მე ჩემი განსხვავებული აზრის გამო არცერთმა ადამიანმა შეურაცხყოფა არ უნდა მომაყენოს და უხერხულობა არ უნდა ვიგრძნო... განსხვავებული აზრი შეიძლება რომელიმე კოლეგასთან მიმართებით მქონია, თუმცა, ამაზე საჯაროდ არ მისაუბრია. ერთმანეთთან განგვიხილავს, ან მე გადავსულვარ მის აზრზე, ან ის ჩემსაზე, ან საერთოდ სხვა ჭეშმარიტება დაბადებულა კამათისას“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „2015 წლის დეკემბერში ლევან მურუსიძე სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნა. მაშინ თქვენ იყავით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ არგუმენტები, რატომ მიიღო მაშინ საბჭომ ეს გადაწყვეტილება?“

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

მე ინდივიდუალურ აზრს გეტყვით, რატომ მივიღე მონაწილეობა. ლევანს დიდი ხანია ვიცნობ, პირველი დღეები არ არის, რაც ვიცნობ. ჩვენ თანაშემწეები ვიყავით, როდესაც ერთმანეთი გავიცანით. მე 1999 წლიდან ვმუშობდი საოლქო სასამართლოში და ცოტა მოგვიანებით დაიწყო ლევანმაც მუშაობა. ამ ადამიანზე ჩემი შეხედულებები მაქვს - ყოველთვის დადებითი, რაც განპირობებულია მისი განათლებით, მისი პროფესიონალიზმით, მისი კოლეგიალური დამოკიდებულებით, ადამიანებთან ურთიერთობით, რაც განმსაზღვრელი იყო ჩემთვის ამ შემთხვევაში. მე მას სწორედ მისი ცოდნისა და გამოცდილების გამო დავუჭირე მხარი. სხვაზე სხვამ თქვას, რატომ დაუჭირა ან არ დაუჭირა მხარი. ფაქტია, რომ საკმარისი რაოდენობა შეგროვდა ხმების და ეს ადამიანი დაინიშნა მოსამართლედ“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „მინდა გკითხოთ ასევე სისტემაში არსებულ პრობლემებზე, რაზეც საუბარია არაერთ ანგარიშში. ერთ-ერთი გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, რომელშიც ბოლო ორი წლის განმავლობაში დაიწერა, რომ სისტემაში არის მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი – ყოველ შემთხვევაში, ამ ანგარიშში ამაზეა საუბარი – და რომ მოსამართლეები იყვნენ მოწყვლადები, როგორც შიდა გავლენებთან მიმართებაში, ასევე გარე შესაძლო გავლენებთან დაკავშირებით. თქვენი აზრით, რა იწვევს იმას, რომ ანგარიშებში ხვდება ეს თემა? და მეორე: არსებობს თუ არა რეალურად მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი სისტემაში?“

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

მოდით, ასე ვთქვათ, ის ანგარიში თვითონ რას ეყრდნობა? მათ თავად ჩაატარეს ეს კვლევა, თუ სხვის კვლევებს დაეყრდნენ? და მეორე, 21 წელი გახდა 27 ივნისს, რაც სასამართლო სისტემაში ვმუშაობ. ალბათ ჩემზე დაბალი თანამდებობა დამლაგებელი იყო. ჩემ თვალწინ გაიარა ყველა ეტაპმა, ყველა რეფორმამ, ყველა ცვლილებამ, სხდომის მდივანიც ვყოფილვარ, თანაშემწეც ვყოფილვარ, მოსამართლეც ვიყავი, საბჭოშიც, აპარატშიც მიმუშავია, საერთო სასამართლოების დეპარტამენტშიც ვმუშაობდი. ასეთი რამ არც მანამდე და არც მერე და ახლაც მითუმეტეს არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს გულში ვიწვი, იმიტომ, რომ უზენაეს სასამართლოშიც ვიყავი, სააპელაციოს მოსამართლეც ვარ და ეგეთი არაფერი მიგრძვნია. ჩემთან პირადად მსგავსი არაფერი ყოფილა. რა გავლენებზეა საუბარი, ყველა თავის საქმეს აკეთებს, არავის უთქვამს და არ უკადრებია, მოდი, ეს საქმე ასე კი არა, ასე გადაწყვიტეო. მაგას ვერც იტყვის ვერავინ და ვერც მაკადრებს. სხვა მხრივ, ყველას მიმართ მაქვს მეგობრული და პატივისცემითი დამოკიდებულება. ასევე, ჩემს მიმართაც ვგრძნობ იმავეს“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „პარლამენტს დასჭირდა, მიეღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და ემსჯელა იმაზე, რომ ქვეყანაში არიან პოლიტიკური პატიმრები. ხომ არ არის ეს იმის ბრალი, რომ ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, სასამართლოს ჩათვლით, იყო გარკვეულწილად სხვა ტიპის, სხვანაირად მოქმედებდა და არა ისე, როგორც ადამიანის უფლებების ინტერესს შეესაბამებოდა? რატომ დასჭირდა ეს პარლამენტს, თუ სასამართლო მთლიანად გამართული იყო?“

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

რატომ დასჭირდა, არ ვიცი. ეს შეგვიძლია მათ ვკითხოთ. ადამიანმა შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს იმიტომ, რომ იგი პოლიტიკური თანამდებობის პირია. შესაძლოა, ადამიანმა დანაშაული ჩაიდინოს კონკრეტული საპროტესტო აქციის დროს. კონკრეტულად ასეთი შემთხვევა, შემდეგ პოლიტიკური ნიშნით რომ შეიწყალეს (ვადა ჰქონდათ 1 წლის, რომ მიემართათ სასამართლოსთვის), მახსოვს სულ ერთი თუ ორი. ერთ შემთხვევაში იყო ვითარება, რომ საპროტესტო აქციაში მიიღო მონაწილეობა, რაც შემდეგ გადაიზარდა შენობის ნგრევაში. პოლიტიკურად აპროტესტებდა, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. შეუძლებელია თქმა, რომ ყველა ადამიანი, სადაც არის, პოლიტიკური განზრახვით არის მოხვედრილი. რა საქმეებიც შემისწავლია, იქ საკმარისი მტკიცებულებები იყო, რომ პირები დამნაშავეები...“

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: „მაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება კონსტიტუციის იმ ჩანაწერთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ქორწინებას. არის თუ არა ეს დისკრიმინაციული? და თუ არა, რატომ?“

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

კონვენციაშიც ხომ იგივე წერია? მსგავსია, თითქმის ანალოგია. მე მგონია, რომ არ არის დისკრიმინაციული. ჩემი რწმენითაც და რელიგიითაც, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა არის ქორწინება, თუმცა, უფლება თუ ექნება და სურვილი ადამიანს და იქორწინებს, მე პატივს ვცემ ნებისმიერ გადაწყვეტილებას“.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენ იყავით სიაში, რომელიც 2018 წლის დეკემბერში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა უმრავლესობამ წარადგინა საქართველოს პარლამენტში. მაინტერესებს, ამ სიაში როგორ მოხვდით?“**

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

> **არ ვიცი, აღარ მახსოვს, მგონი, აპარატიდან დამირეკეს და მითხრეს: საბჭო ფიქრობს, რომ წარგადგინონ და თანხმობის განცხადებას თუ მოგვაწვდითო“ (მან დამატებით აღნიშნა, რომ არ ახსოვს, ვინ დაურეკა აპარატიდან, თუმცა ახსოვს, რომ თანხმობის განცხადებას ხელი მოაწერა).**

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„სქესთან დაკავშირებით რეგისტრაციაში ჩანაწერი რომ შეიცვალოს ოპერაციის გარეშეც, ამაზე რას ფიქრობთ? უნდა ჰქონდეს თუ არა უფლება ტრანსგენდერ ქალს, მიმართოს შესაბამის ორგანოს და მოითხოვოს ჩანაწერის შეცვლა ოპერაციის გარეშე?“**

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

> **ეს უფრო ალბათ სხვა კუთხით მომუშავე მოსამართლეთა მსჯელობის საკითხია, მე ახლა როგორც რიგით მოქალაქეს რომ მკითხოთ, შეიძლება ვერ გიპასუხოთ. აქ პრობლემას ვხედავ ალბათ ჩანაწერთან დამოკიდებულებით. ეს არის ორგანული კანონი, რომელსაც იშველიებენ – ასე ვთქვათ, ხომ უნდა გაირკვეს, ქალია თუ კაცია, სახელი და გვარი და ა.შ. თუკი ადამიანი მოახდენს იმის ცვლილებას, რომ რეალურად ქალია და სახელს და გვარს გამოიცვლის და ქალად დაფიქსირდება, რომელიც გარჩევადი იქნება, მგონი, პრობლემა არ უნდა იყოს. მაგრამ ახლა მე რომ მივიდე და ქალის სახელი და გვარი დამიწერეთ-თქო, რომ ვუთხრა, და კაცი ვარ და შარვალ-კოსტიუმით დავდიოდე, ალბათ რაღაც პრობლემებს წარმოქმნის, ხომ?“**

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„ტრანსგენდერი რას ნიშნავს?“**

მოსამართლე პაატა სილაგაძემ უპასუხა:

> **ადამიანი შეიძლება იყოს კაცი, მაგრამ თავისი ფსიქოლოგიური დამოკიდებულებით თვლიდეს, რომ არის ქალი. ან პირიქით, ამ შემთხვევაში ქალი იყოს და მიდიოდეს და ამბობდეს: „მე ვარ კაცი, მე კაცის სახელი და გვარი მინდა დამიფიქსირონ...“**

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„გენდერი რას ნიშნავს, თქვენი აზრით?“**

მოსამართლე პაატა სილაგაძის პასუხი:

> **გენდერი ნიშნავს, თეორიულად როგორ ვთქვა, კაცისა და ქალის გენდერული თანასწორობა, ხომ? სპეციალური ტერმინები არ მახსენდება“.**

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)



2. ფინანსები

მოსამართლე პაატა სილაგაძე 2008 წლიდან დღემდე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეა. ამ პერიოდში მისმა სახელფასო შემოსავალმა თითქმის მილიონ (939,965) ლარს მიაღწია. ყველაზე დიდი შემოსავალი კანდიდატს 2017 წელს აქვს მიღებული – დაახლოებით, 122, 824 ლარი.

რაც შეეხება მოსამართლის მეუღლის სახელფასო შემოსავალს, თეა გიორგაძე საქართველოს მთავარ პროკურატურაში მუშაობს დეპარტამენტის უფროსი პროკურორის თანამდებობაზე. მისმა შემოსავალმა 2014 -2018 წლებში 154,115 ლარი შეადგინა.

პაატა სილაგაძეს მიმდინარე საბანკო ვალდებულება არ უფიქსირდება. მის მეუღლეს იპოთეკური სესხი აქვს TBC ბანკში, 60,000 ლარის ოდენობით.



- მოსამართლე პაატა სილაგაძის ფინანსური ბიოგრაფიის შესწავლისას გაირკვა, რომ მისი ძმა, ლაშა სილაგაძე, დაკავშირებულია ბიძინა ივანიშვილის სხვადასხვა კომპანიასთან, რომელთაგან სამის იურიდიული მისამართი ემთხვევა ბანკი „ქართუს“ ოფისის მისამართს (ჭავჭავაძის 39ა); ასევე, მას კავშირი აქვს ივანიშვილის გარემოცვის ახლო წევრებთანაც. ლაშა სილაგაძე 2018 წლის 29 ივლისამდე იყო შემდეგი სამი კომპანიის დირექტორი: 1) შპს „თაბორი რიზორთსი“, 2) შპს „ჯორჯიან ეკო ტრანსპორტი“ და 3) შპს „სპორტს ჰოტელ ენდ რიზორტი“. შემდეგ სამივე ორგანიზაციაში დირექტორის პოსტზე გიორგი თორაძემ ჩაანაცვლა.

  აღსანიშნავია, რომ ეს კომპანიები შპს „ტურიზმის განვითარების ფონდის“ საკუთრებაშია, რომელიც დაფუძნებულია „საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ მიერ. თანაინვესტირების ფონდი 2013 წელს ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით დაარსდა. მისი ფინანსური წვლილი ორგანიზაციაში ფონდის მთლიანი კაპიტალის 15%-ს შეადგენდა. „ტურიზმის განვითარების ფონდი“, თავის მხრივ, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული პანამური ოფშორული სააქციო საზოგადოების FRANKSTON INTERNATIONAL S.A.-ის მფლობელობაშია (100%).

  აქვე აღსანიშნავია, რომ ვიდრე ლაშა სილაგაძე ზემოთ ჩამოთვლილ კომპანიებში დირექტორის თანამდებობას დაიკავებდა, ეს პოსტი ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ პირს, ირაკლი ქარსელაძეს ეჭირა. იგი დღეისათვის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილეა, ხოლო წარსულში თანაინვესტირების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორი იყო. ირაკლი ქარსელაძეს ეკუთვნის სარეგისტრაციო განცხადება შპს „თაბორი რიზორთსის“ შესახებ, სადაც შემდგომში ლაშა სილაგაძე გახდა დირექტორი.

  მოსამართლე პაატა სილაგაძის ძმა დაკავშირებულია კიდევ ერთ პირთან, გელა კობერიძესთან. მის სახელზეა სარეგისტრაციო განცხადებების გაკეთება იმ ორ კომპანიაში (შპს „ჯორჯიან ეკო ტრანსპორტი“ და შპს „სპორტს ჰოტელ ენდ რიზორტი“), სადაც ლაშა სილაგაძე დირექტორის თანამდებობას იკავებდა. პარალელურად, გელა კობერიძე „ბლექ სი არენას“ დირექტორია, რომლის 100%-იანი წილის მფლობელიც არის ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ოფშორული კომპანია LIMESTONE FINANCE INTERNATIONAL S.A. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბატონმა კობერიძემ 2012-2018 წლებში „ქართულ ოცნებას“ და, მასთან ერთად, სალომე ზურაბიშვილს, ჯამში, 11 ათასი ლარი შესწირა.

- გოჩა ჩიკვილაძე კიდევ ერთი ადამიანია ბიძინა ივანიშვილის გარემოცვიდან, რომელთანაც კავშირი აქვს მოსამართლე პაატა სილაგაძის ძმას. სამივე კომპანია, სადაც ლაშა სილაგაძე დირექტორის თანამდებობას იკავებდა, ბანკი „ქართუს“ იურიდიულ მისამართზეა რეგისტრირებული, რაზეც თანხმობა გაცემულია გოჩა ჩიკვილაძის მიერ. ბატონი ჩიკვილაძე წლების განმავლობაში ხელისუფლების აქტიური შემომწირველია. 2012-2019 წლებში მის მიერ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაღებული თანხა 161,630 ლარს შეადგენს.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ